სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ოზიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

შემფასებელი:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის
- მარიამ ოზიაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - მარიამ ოზიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მარიამ ოზიაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მარიამ ოზიაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. მარიამ ოზიაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და კანდიდატის შესახებ ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტები. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ მარიამ ოზიაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა განაცხადში მის მიერ მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მიერ გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მას ახასიათებენ დადებითად. კერძოდ, გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, საქმისადმი სიყვარულს, პროფესიულ ღირსებას და სხვა პირად თუ პროფესიულ პოზიტიურ თვისებებს. გამოკითხულ რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მარიამ ოზიაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები მარიამ ოზიაშვილს გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას აქვს საკუთარი პოზიციის დაცვის და საფუძვლიანად წარმოჩენის უნარი.

კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მარიამ ოზიაშვილი არასდროს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> მიმართებაში აღსანიშნავია, რომ მარიამ ოზიაშვილი გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. მისი მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. შემოწმებით დადგენილია, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ არის დაწყებული. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მარიამ ოზიაშვილი ასევე არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად. ამასთანავე, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - მარიამ ოზიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მარიამ ოზიაშვილი მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **მარიამ ოზიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე მარიამ ოზიაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 3 დეკემბერს, მარიამ ოზიაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა, რა დროსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

მარიამ ოზიაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში-2. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში

მიღებული ქულები - 79/17). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, -

„მარიამ ოზიაშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 94 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალი არ არის მარიამ ოზიაშვილის ძირითადი სპეციალიზაცია, მან ყოველდღიურ საქმიანობაში წარმოაჩინა კარგი თეორიული ცოდნა, აგრეთვე მაღალ დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მეტწილად ზუსტად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს/მოვალეობებს, იშვიათად უშვებს შეცდომებს. გონივრულ დროში შეუძლია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების ამოხსნა, ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, გონივრულ დროში იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. შესაფასებელმა პირმა საუკეთესოდ შეძლო პრიორიტეტების განსაზღვრა და წარმოაჩინა მუდმივი მზადყოფნა მაღალი დატვირთულობისათვის. იგი გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანია. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობის უნარი და თანმიმდევრულობა.

<u>ადმინისტრაციულ სამართალში</u> მარიამ ოზიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. არის გაწონასწორებული, გონებაგახსნილი, მიზანდასახული და საქმისადმი ერთგული. დაკისრებულ მოვალეობას მაქსიმალური პასუხისმგებლობით ეკიდება. შესაფასებელი პირი თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად, აზრობრივად ქრონოლოგიურად დალაგებულია. სამართლებრივი დასკვნები გამართული და აზრი გასაგებად ჩამოყალიბებულია.

<u>სამოქალაქო სამართალში</u> მარიამ ოზიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მას პრაქტიკაში ზუსტად საჭიროებისამებრ იყენებს. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, საჭიროების შემთხვევაში. მსჯელობს ლოგიკურად, აზრს ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს. არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. შეუძლია სამართლებრივი პრობლემის სწორად

დანახვა, მასზე კონცენტრირება და გადაწყვეტა. შესაფასებელი პირი აქვს მაღალი კვალიფიკაცია და სამართლებრივი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი."

საჯარო მოსმენის შედეგად ასევე დადასტურდა, რომ კანდიდატი მარიამ ოზიაშვილი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ეცნობა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს. მანვე წარმატებით გაართვა თავი, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

აღსანიშნავია, რომ მარიამ ოზიაშვილს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

ამდენად, მივედი დასკვნამდე, რომ მარიამ ოზიაშვილი კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მან გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე გასცა კვალიფიციური პასუხები და თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მარიამ ოზიაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის როგორც პირველი ინსტანციის, აგრეთვე უზენაეს სასამართლოებში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მარიამ ოზიაშვილი გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს სწორად აფასებდა, აზრს გამართულად აყალიბებდა."

კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტი ყოველთვის უმაღლეს პროფესიულ დონეზეა შესრულებული, იგი გამოირჩევა სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და განმარტების უნარით.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და თანმიმდევრულია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად „მარიამ ოზიაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მარიამ ოზიაშვილის მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა.

იგი მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, შესწევს უნარი საქმის ვითარება და სამართლებრივი არგუმენტაცია ზეპირად საშუალო სირთულით, გასაგებად გადმოსცეს. არ უჭირს კომუნიკაცია, შეუძლია საქმის გარემოებები, მასში არსებული პრობლემები სრულყოფილად, მშვიდად და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ მარიამ ოზიაშვილი გამოირჩევა ზეპირი კომუნიკაციის და აკადემიური წერის კულტურით, მაღალი ინტელექტით. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. აღნიშნულს ასევე ადასტურებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის სტატია. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>**პროფესიულ თვისებებთან**</u> დაკავშირებით შეფასებისას გასათვალისწინებელია კანდიდატის შრომისმოყვარეობა და ორგანიზებულობა. ამასთან, მარიამ ოზიაშვილი გააჩნია გამართული მეტყველების უნარი და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისება. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>**აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მარიამ ოზიაშვილი ღიაა სიახლეების მიმართ, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მან აგრეთვე გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა. „საქართველოს იურისტთა უმაღლეს სკოლაში" გაიარა სასწავლო კურსი, სანოტარო სამართალში. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრში მონაწილეობდა და წარმატებით დაასრულა დისტანციური სწავლება - ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი; ტრენინგ ცენტრში „სამართლის აკადემია" წარმატებით გაიარა საკონსტიტუციო სამართლის კურსი. ამასთან, კანდიდატს წარმოდგენილი აქვს სამართლებრივი ხასიათის სტატია.

<u>**პროფესიული აქტივობის**</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ მარიამ ოზიაშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: საგადასახადო სამართლის რიგი საკითხები - EU4justice, საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლო, 2020 წ.; სახელმწიფო პასუხისმგებლობა - IRZ (გერმანიის საერთა-შორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი, 2019 წ.; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია - USAID, PROLOG, EU4justice, 2019 წ. და სხვა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მარიამ ოზიაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 90 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**
თარიღი: 09.12.2024